საჯაროსამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N05

ქ. ბათუმი 13 ივლისი,2018წ.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 ივნისის №56 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 ივნისის №56 დადგენილების ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით, კერძოდ:

ა) სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტი) საფასური - 2250 ლარი;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურებისოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ხოლო ხელმძღვანელის ჩასატარებელი საათების ოდენობა (სამუშაო დატვირთვა) ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე'' წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;

გ) ადმინისტრირების საფასური(სამი სასწავლო წლისათვის) - 120 ლარი;

დ) სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და საჯარო დაცვის საფასური - 600 ლარი.

2. გადაწყვეტილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და შესაბამის საფაკულტეტო სამსახურებს.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ.ბარათაშვილი**